დანართი 2
დამტკიცებულია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
2009 წლის " 17. 12 "
246/02-01 ბრძანებით

$ 1. კონკურსის მიზანი

1. კონკურსის მიზანია თსუ-ს ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (გმი) უფროს მეცნიერ-მკვლევართა და მეცნიერ-მკვლევართა შერჩევა.
2. კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით იქმნება კომისია.

$ 2. კომისიის შემადგენლობა

1. კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და მდივანი (ხმის უფლების გარეშე);

$ 3. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

1. კომისია კონკურსანტის დაუსწრებლად აფასებს მის მონაცემთა შესაბამისობას ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევით თანამდებობრივ მოთხოვნებთან.
2. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისიის წევრს არ აქვს უფლება თავისი ხმა გადასცეს კომისიის სხვა წევრს.
3. კონკრეტულ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე.
4. იმ კანდიდატების მიმართ, რომლებმაც თანაბარი ხმები მიიღეს, კენჭისყრა ეწყობა ხელახლა.
5. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
6. კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ მკვლევარებთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულებები;

$ 4. დავების გადაწყვეტა

1. კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.